სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 აგვისტო 2004 №195 (2216) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი კახიაშვილს მეოთხე ოქრო ემძიმა



REUTERS ათუნიდან

ATHENA 2004

ათენის ოლიმპიადამ უკვე ბევრი სიხარული გვაჩუქა. იქ, ელადაში ქართველები ოქროებს იგებენ. მართალია, ყველა ჩვენებურს არ უჭირავს ხუთჯვრიანი დროშა და მათ პატივსაცემად არ ჟღერს საქართველოს ჰიმნი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები გვყავს და მათ მსოფლიო შეჰ ყურებს. ოლიმპიადის დაწყებამდე ორ ოქროზე უარს როგორ ვიტყოდით, მაგრამ რაკი გვაქვს, არ გვინდა, ზურაბ ზვიადაურის ლამაზად დაწყებული საქმე გიორგი ასანიძის გამარჯვებით დასრულდეს. მით უმეტეს, რომ დღეიდან ოლიმპიურ სარბიელზე გამოდიან ბერძნულ-რომაულად მოჭიდავენი, მათ შორის კი ორი მსოფლიოს ჩემპიონია — მუხრან ვახტანგაძე და მანუჩარ კვირკველია.

არ გაუმართლათ ბეგი დარჩიას შეგირდებს, დასაწყისშივე ძლიერი მეტოქეები შეხვდათ, განსაკუთრებით კვირკველიას, მაგრამ მგლის შიშით, მოდით, ახლავე ნუ გავწყვეტთ ცხვარს.

გუშინ კი კიდევ ერთ ქართველს შეეძლო ოქროს მოპოვება. კახი კახიაშვილი ფიცარნაგზე მხოლოდ ჩემპიონობისთვის ადის და ერთი ოლიმპიური ოქრო საქართველოსთვის და ორიც საბერძნეთისთვის მოუტანია. გუშინაც მხოლოდ მის ჩემპიონობაზე ვფიქრობდით, თუმც არ გამოვიდა — კახიმ ატაცში 220 კილოგრამი ვერ დასძლია და ხალხს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში გამოემშვიდობა.

ჩვენ კი დაველოდოთ პეკინის ოლიმპიადას და საქართველოში კახიაშვილის მწვრთნელის ვანო გრიქუროვის კიდევ ერთ აღმოჩენას არსენ კასაბიევს. ეს ბიჭი წარმოუდგენლად ნიჭიერიაო — გვეუბნება გრიქუროვი და მის სიტყვას ორი ოლიმპიური ოქროს ფასი აქვს. კასაბიევისგან ათენში მედალს არავინ ელოდა, არსენმა საბოლოოდ მე-14 ადგილი დაიკავა, მაგრამ გრიქუროვის 16 წლის შვილობილი და ყველაზე ახალგაზრდა ძალოსანი თანატოლებზე ბარე 50 კილოგრამით მძიმე შტანგას ერევა და საკუთარ ძალაში სიტყვის უთქმელადაც გვარწმუნებს.

ჩვენ ჩვენებისა გვიხარია, ოლიმპიადა კი თავისი გზით მიდის, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ყველასთვის ყველაფერი რიგზე ვერ მიდის. მაგალითად, გუშინ მსოფლიოს ჩემპიონმა სერბმა კალათბურთელებმა ჩინელებთანაც წააგეს და საერთოდ ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ. ათენს არც სკანდალები აკლია. მსაჯებმა რუსი ტანმოვარჯიშე ალექსეი ნემოვი ისე დაჩაგრეს, რუსებთან ჩვენი „კეთილმეზობლური“ ურთიერთობის მიუხედავად შეგეცოდებოდათ ეს ჯეელი. აღშფოთებული ტრიბუნები 15 წუთი ბობოქრობდნენ და მომდევნო ტანმოვარჯიშეს გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ბოლოს თავად მადლიერებით აღვსილმა და უსამართლობასთან შეგუებულმა ნემოვმა ხალხს დაწყნარება სთხოვა.

თაღლითობაში და მსაჯთა დახმარებაში სდებენ ბრალს ბერძენ მძლეოსან ანასტასია ცუმელეკას. ყველა ნათლად ხედავდა, რომ 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ბერძენი კი არ მიდიოდა, მირბოდა, რისთვისაც სამი გაფრთხილება მიიღო, რაც დ სკვალიფიკაციას ნიშნავს, მაგრამ ოლიმპიადის მ სპინძელს ერთი გაფრთხილება ვიღაცამ „მოპარ და მასაც ხახვივით შერჩა ოლიმპიური ოქრო.

დოპინგზე კი ამჯერად ნურაფერს ვიტყვით. დოპინგის წინააღმდეგ ამხედრებულნი თავად იტყვიან თავის სიტყვას.

მსაჯებს ნამუსი დაეკარგათ, ხალხს მოთმინება

REUTERS ათუნიდან

ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

23 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004

მძლეოსნობა

ქალები

სპორტული სიარული. 20 კმ

1 ანასტასია ცუმელეკა (საბერძნეთი)
2 ოლმპიადა ივანოვა (რუსეთი)
3 ჯეინ სევილე (ავსტრალია)

სამხტომი

1 ფრანსუა მბანგა ეტონე (კამერუნი)	15,30
2 ხრისოპი დევცი (საბერძნეთი)	15,25
3 ტატიანა ლებედევა (რუსეთი)	15,14

800 მ.

1 კელი ჰოლმსი (ბრიტანეთი)	1:56.38
2 ხაშა ბენხასი (მაროკო)	1:56.43
3 იოლანდა ჩეპლაკი (სლოვენია)	1:56.43

5000 მ.

1 მესერეტ დეფარი (ეთიოპია)	14:45.65
2 იზაბელა ოშიში (კენია)	14:48.19
3 ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია)	14:51.83

კაცები

ბადროს ტყორცნა

1 რობერტ ფაზეკაში (უნგრეთი)	70,93
2 ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა)	69,89
3 ზოლტან კოვაგო (უნგრეთი)	67,04

400 მ.

1 ჯერემი უორნერი (აშშ)	44,01
2 ოტის ჰარისი (აშშ)	44,16
3 დერეკ ბრიუ (აშშ)	44,42

მაგიდის ჩოგბურთი

კაცები

1 რიუ სეუნ მინი (ს. კორეა)
2 ხაო ვანი (ჩინეთი)
3 ვაონ ლინი (ჩინეთი)

სოფბოლი

ქალები

1 აშშ
2 ავსტრალია
3 იაპონია

ძალოსნობა

კაცები

94 კგ.

1 მილენ დობრევი (ბულგარეთი)	407,5კგ (187,5+220)
2 ხაჯიმურატ აკაევი (რუსეთი)	400,0კგ (185+215)
3 ედუარდ ტიუკინი (რუსეთი)	397,5კგ (182,5+215)

თავისუფალი ჭიდაობა

ქალები

48 კგ

1 ირინა მერლენი (უკრაინა)
2 შიხარუ იჩო (იაპონია)
3 პატრისია ნირანდა (აშშ)

55 კგ

1 საორი იოშიდა (იაპონია)
2 ტონია ვერბიკი (კანადა)
3 ანა გომესი (საფრანგეთი)

63 კგ

1 კაორი იჩო (იაპონია)
2 სარა მაკმანი (აშშ)
3 ლიზა ლეგრანი (საფრანგეთი)

72 კგ

1 ვან სიუ (ჩინეთი)
2 გიუზელ მანიუროვა (რუსეთი)
3 კიოკო ხამაგუჩი (იაპონია)

სპორტული ტანვარჯიში

კაცები

ბჯენით ხტომა

1 გერვასიო დეფერი (ესპანეთი)	9,737
2 ევგენი საპრონენკო (ლატვია)	9,706
3 მარიან დრაგულესკუ (რუმინეთი)	9,612

ორძელი

1 ვალერი გონჩაროვი (უკრაინა)	9,787
2 ჰიროუკი ტომიტა (იაპონია)	9,775
3 ლი სიაოპენი (ჩინეთი)	9,762

ღერძი

1 იგორ კასინა (იტალია)	9,812
2 პოლ ჰემი (აშშ)	9,812
3 ისაო იონედა (იაპონია)	9,787

ქალები

დვირი

1 კატალინა პონორი (რუმინეთი)	9,787
2 კარლდი პეტერსონი (აშშ)	9,775
3 ალექსანდრა გეორგიანა ერემია (რუმინეთი)	9,700

თავისუფალი ვარჯიში

1 კატალინა პონორი (რუმინეთი)	9,750
2 ნიკოლეტა დანიელა სოფრონი (რუმინეთი)	9,562
3 პატრისია მორენო (ესპანეთი)	9,487

ველობრეკი

კაცები

გუნდური გამოდევნება

1 ავსტრალია
2 ბრიტანეთი
3 ესპანეთი

REUTERS ათენიდან

კატალინა პონორს უკვე ორი ოქრო აქვს

მედლების დაფა

		ო	ვ	ბ	სულ
1	აშშ	23	26	17	66
2	ჩინეთი	23	15	12	50
3	იაპონია	15	8	9	32
4	ავსტრალია	13	9	13	35
5	საფრანგეთი	9	7	9	25
6	გერმანია	8	10	11	29
7	იტალია	8	6	7	21
8	რუმინეთი	8	4	4	16
9	უკრაინა	8	2	5	15
10	დიდი ბრიტანეთი	7	8	7	22
11	რუსეთი	6	16	19	41
12	ს. კორეა	6	10	5	21
13	საბერძნეთი	5	2	2	9
14	უნგრეთი	4	4	2	10
15	ჰოლანდია	3	6	8	17
16	შვედეთი	3	0	1	4
16	თურქეთი	3	0	1	4
18	ბელარუსი	2	3	6	11
19	პოლონეთი	2	2	3	7
20	სლოვაკეთი	2	2	1	5
21	ბულგარეთი	2	1	5	8
22	ეთიოპია	2	1	1	4
23	საქართველო	2	1	0	3
24	ტაილანდი	2	0	2	4
25	ჩილე	2	0	1	3
26	ახალი ზელანდია	2	0	0	2
26	ნორვეგია	2	0	0	2
28	ესპანეთი	1	6	3	10
29	კანადა	1	3	1	5
30	კუბა	1	1	6	8
31	ინდონეზია	1	1	2	4
31	სამხრეთ აფრიკა	1	1	2	4
33	ზიმბაბვე	1	1	1	3
34	დანია	1	0	5	6
35	ბრაზილია	1	0	2	3
35	ბელგია	1	0	2	3
37	შვეიცარია	1	0	1	2
38	საამიროები	1	0	0	1
38	კამერუნი	1	0	0	1
40	ავსტრია	0	4	1	5
41	ჩეხეთი	0	3	3	6
42	ჩრდ. კორეა	0	3	1	4
43	ხორვატია	0	2	2	4
44	პორტუგალია	0	2	0	2
44	კენია	0	2	0	2
44	ლიტვა	0	2	0	2
47	სლოვენია	0	1	3	4
48	ესტონეთი	0	1	1	2
48	ტაივანი	0	1	1	2
50	ფინეთი	0	1	0	1
50	ჰონკონგი	0	1	0	1
50	სერბეთ-ჩერნიგორია	0	1	0	1
50	ყაზახეთი	0	1	0	1
50	ინდოეთი	0	1	0	1
50	მაროკო	0	1	0	1
50	ლატვია	0	1	0	1
57	აზერბაიჯანი	0	0	2	2
57	არგენტინა	0	0	2	2
59	კოლუმბია	0	0	1	1
59	იამაიკა	0	0	1	1
59	მონღოლეთი	0	0	1	1
59	ისრაელი	0	0	1	1
59	ტრინიდადი და ტობაგო	0	0	1	1
59	ერიტრეა	0	0	1	1
59	ვენესუელა	0	0	1	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ გურასაშვილი ათენიდან

ქართველი ოლიმპიური მედალოსნები ნესტორ ხერგიანი, ზურაბ ზვიადაური, გიორგი ასანიძე
და მათი მწვრთნელები შოთა ხაბარელი და ვანო გრიქუროვი

სტუმარ-მასპინძელი

ქართულმა სახლმა საქართველოს გმირები მიიღო



ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან

ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს ზურაბ ზვიადაურს, გიორგი ასანიძეს და ვერცხლის პრიზიორ ნესტორ ხერგიანს დაჯილდოების ცერემონიალზე თავზე ნამდვილი ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინები დაადგეს. გუშინ მათ უკვე შესაბამისად მოოქროვილი და მოვერცხლილი გვირგვინებიც გადასცეს. ეს მოხდა „ქართულ სახლში“ მათ საპატივცემულოდ გამართულ საზეიმო შეხვედრაზე. როცა ამ გვირგინებს ჩვენს მედალოსნებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი გადასცემდა, თქვა, წუხელ ღამის სამ საათამდე დავრბოდით, რათა შესაფერისი საჩუქარი შეგვერჩიაო.

უნდა ითქვას, რომ საჩუქარი მართლაც მშვენიერი და ძვირფასია, აქაურ მაღაზიებში მათზე ჩვენც თვალი გვრჩება. ცხადია, უყურადღებოდ არც მედალოსანთა მწვრთნელები შოთა ხაბარელი, ვანო გრიქუროვი და ჩვენი ოლიმპიელების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი დაუტოვებიათ. მწვრთნელებს ანტიკური ბარელიეფების მოვერცხლილი ასლები გადასცეს, ექიმს კი ასეთივე ჰიპოკრატეს გამოსახულება თავისი ფიცის ტექსტთან ერთად. ჩვენი მედალოსნები დააფასეს ათენში მცხოვრებმა ქართველმა მხატვრებმა რომან ტვილდიანმა, ავთანდილ თოფურიამ და კობა გელაძემ, რომლებმაც ბიჭები თავიანთი ნამუშევრებით დაასაჩუქრეს.

დიდი ყურადღება გამოიჩინა ათენში ქართული ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ავთანდილ მიქაბერიძემ, რომელმაც ჩვენი მედალოსნებისთვის შეიძინა საქართველოდან გადმოსახლებული ბერძენი მოქანდაკის გელა ხრისტომიდის ძვირფასი ნამუშევარი.

საქართველოს ოლიმპიურ მედალოსნებს შინ დაბრუნების მერეც ელით დაფასება, აღიარება და ჯილდოები, მათ შორის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ულამაზესი ორდენები, ამ გადაწყვეტილების თაობაზე „ქართულ სახლში“ შეკრებილებმა სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონის დეპეშით შევიტყვეთ, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, კარგ ამბავს მოსალოციც მოაყოლა.

იყო სხვათა დეპეშები და მილოცვებიც. აქვე ჩვენს მედალოსან ბიჭებს მიესალმა ინგლისელი მოჭადრაკე ნაიჯელ შორტიც, რომელმაც თავადაც საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ თავმდაბლობა გამოიჩინა და ყველას გასაგონად თქვა, დღეს გმირები თქვენი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები არიან და მზერაც მათ უნდა მივაპყროთო.

ყველაზე დასამახსოვრებელი ალბათ საბერძნეთში საქართველოს ელჩის ზვიად ჭუმბურიძის მისალმება იყო:

„ბევრმა ელჩმა დამირეკა და ჩვენი ბიჭების გამარჯვებები მომილოცა. მე დღეს ძალიან ამაყი ვარ თქვენი წარმატებებით. თქვენ წახვალთ ათენიდან, მე კი აქ დავრჩები და თქვენი გამარჯვებები ძალიან დამეხმარება ჩემს საქმიანობაში.“

სხვათა შორის, ეს შეხვედრა ვეტერანი ფოტორეპორტიორის სანდრო კოტორაშვილის მოულოდნელი დაძახილით დაიწყო. „ჩვენს მედალოსნებს გაუმარ-ჯოს“ — იყვირა მან ხმის ჩახლეჩამდე და დარბაზში შეკრებილმა ქართველობამ, როგორც ერთმა, ომახიანად დასცხო „ჯოს!“

ეს „გაუმარჯოს“ სამივე მედალოსნის საპატივცემულოდ სამჯერ დააქუხეს გლიფტის რაიონის მერიაში, სადაც „ქართული სახლია“ შეხიზნული და იქაურობაც შეზანზარდა.

იქვე „ქართული სახლის“ დიასახლისმა ნანა ალექსანდრიამ ოლიმპიურ სოფელში ჩვენი დელეგაციის მეთაურს ლერი ხაბელოვს, ვინც თურმე თავის საბრძანებელში სიმკაცრით გამოირჩევა, უფლებამოსილება აჰყარა. უთხარი, ამ სახლში მე ვარ უფროსი, თქვენი უფლებამოსილება აქ არ ვრცელდება და ჩვენს წესებს დაემორჩილეთო.

წესებში კი თითო ჭიქა ქართული ღვინოც იგულისხმებოდა. ალბა, ღვინის გარეშე ზეიმს რა ფასი აქვს. სუფრა გაალამაზა და დააშშვენა ჭეშმარიტად ქართულმა ხაჭაპურმაც, მჭადმაც და ფხალმაც...

ერთი სიტყვით, „ქართულ სახლში“ ქართული ზეიმი იყო, რაშიც თავისი დიდი წვლილი შეიტანა აქ მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „დიოსკურიამ“. თქვენ ოღონდ მედლები კიდევ მოიპოვეთ და საჩუქრები, მჭადი და ფხალი ჩვენზე იყოსო, თქვეს დიოსკურიელებმა, აქაურმა ქართველმა მხატვრებმა და ავთანდილ მიქაბერიძემ.

ვიმედოვნებთ, მჭადი მართლაც იქნება, ფხალიც, კოტორას შეძახილიც და იქაურობის შეზანზარებაც.



ავთანდილ ათენიდან

ათენში „ქართული სახლის“ დიასახლისი ნანა ალექსანდრია
ნაიჯელ შორტსა და მის მეუღლეს მასპინძლობს

გიო ახვლედიანის

სვეტი

ოქროვგო!

როგორც იქნა მოაღწია ამ მშვენიერმა დრომაც: საქართველო როგორც ცალკე ქვეყანა, შეიქნა ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ცალკე ზვიადაურის შთამბეჭდავი გამარჯვება ძიუდოში და იმას მოყოლილი გიორგი ასანიძის მიერ ყველას დამარცხება თავისი წონის ძალოსნებში.

ახლა წინ დაგვირჩნენ მოჭიდავეები, რომლებიც ყოველთვის იღებდნენ ნაირგვარი ხარისხის მედლებს და თუ წამომართული დროშა მათაც კოხტად დაიჭირეს, ბადრი პატარკაციშვილის მილიონებს კიდევ მოაკლდება და მოაკლდება.

ამ სადღეგრძელოების საათს ჰონორარების, უფრო კი საქველმოქმედო პრიზების ხსენება ეგებ მთლად მაგარი რამე ვერ იყოს, მაგრამ ასეთი პრიზები ძალიან კარგია ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ოლიმპიური ჩემპიონი გაექცათ იმის გამო, რომ უბრალოდ, ადამიანური პირობები არ ჰქონდა. როცა ბერძნები ჭიდაობენ, ჩვენ სულ გვახსენდება, რომ მათ შორის ქართველებიც არიან და ამ ოლიმპიადის ჩემპიონი ერთბაშად ორი ზვიადაური შეიქნა, ერთი ქართული დროშით, მეორე ბერძნულით, ეს ტკივილიანი ამბავია, რაც არ უნდა გახარებული ვიყოთ.

ჩვენ ადრე ყოველთვის ვამართლებდით საქართველოდან წასულ სპორტსმენებს, ალბა რა ვქნათო. სპორტსმენები ახლაც მიდიან სხვა დროშის ქვეშ, მაგრამ ახლა, ამ კვირიდან ვითარება უკვე სხვაგვარია: საქართველომ უკვე გაიგო თავისი, არავისთან შეზიარებული ოქროს გემო. ეს ოქრო ხარისხით ისეთივეა, როგორც ის ძველი ოქროები, საბჭოთა, თუ თანამეგობრობის გუნდებში რომ მოუგიათ ქართველებს, მაგრამ გემო კი ამისა მაინც სხვა გახლავთ. ჩვენი ძველი დიდი ოლიმპიელები კი, საქართველოსთვის იგებდნენ ჯილდოებს, ოღონდაც მათ თავზე სხვა დროშა ეკიდა. როცა ხახალეიშვილმა და კახიაშვილმა მოიგეს ოქროს მედლები, საქართველო კი ეწერათ ზურგზე და ჰიმნიც ჩვენი დააკვრევინეს, მაგრამ გუნდად იყვნენ ერთიან, პოსტსაბჭოთა გუნდში და საქართველო ასე ცალკე, თავისი ქვეყნობით არ იყო.

ამიტომ, ეს ორი ოქრო აფერმკრთალებს ახალწასულთა გამარჯვებებს საქართველოსთვის, თან კი ამბობს: შენი ქვეყნის სახელითაც შეგიძლია — ამას სულ სხვა გემო აქვს! კიდევ ერთი პირველი ადგილიც დაგვხატავდა. კარგი, ორი. ეს ძალიან წაადგებოდა სპორტსაც და ხალხსაც. დამშეული ვართ სიხარულზე, ხალისზე, იმედზე, ათას სხვა რამეზე. სპორტს კი, ახ, რამდენი რამე შეუძლია.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ

ᲙᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲞᲘᲠᲝᲡ ᲓᲘᲛᲐᲡᲘᲡ წაფორხილების შემდეგ ოლიმპიადის მასპინძლებს მეოთხე ოლიმპიური ოქროს მედლის კიდევ ერთი კანდიდატი კახი კახიაშვილი, იგივე აკაკირს კახიაშვილისი დარჩათ, მაგრამ გუშინ ეს იმედიც თვალსა და ხელს შუა გაუქრათ. ვანო გრიქუროვის აღზრდილმა არათუ ჩემპიონობისთვის, საერთოდ მედლისთვის ბრძოლაც ვერ შეძლო. ატაცში დაგროვილ 180 კილოგრამს აკვრაში ვეღარაფერი წაამატა და დისკვალიფიკაცია მიიღო. არადა, პირველივე ცდისთვის შეკვეთილი 220 კილოგრამიანი შტანგა მესამეზე მაინც რომ აეწია, დიმასის შედეგს, მესამე ადგილს გაიმეორებდა.



ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲡᲐᲑᲘᲔᲕᲛᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲕᲐᲜᲝ ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

კახიაშვილი ბერძნებზე არანაკლებ ქართველებიც ვგულშემატკივრობდით, თუმც მის გარდა საქომაგო გულზე საქართველოს დროშით გამომავალი არსენ კასაბიევიც გვყავდა. ვანო გრიქუროვის სიტყვებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ ათენში გამგზავრებამდე შევეგუეთ აზრს, რომ 16 წლის კასაბიევისთვის მედლისთვის ბრძოლა ჯერ ადრე იყო და ოცეულიც დადებით შედეგად უნდა ჩასთვლოდა, მაგრამ არსენას საბრძოლო შემართებამ მაინც გაგვაოცა.

ატაცში დაგროვილი 155 კილოგრმით იგი B ჯგუფის მეშვიდე ადგილზე იყო. აკვრა 195 კილოგრამით დაიწყო და როგორც კი ეს წონა დასძლია 10 კილოგრამით მეტი შეუკვეთა, მეორე ცდა გაუცუდდა, მაგრამ ფიცარნაგზე ბოლო გამოსვლისთვის წონა კიდევ 2,5 კილოგრამით გააზრდევინა. აჰკრა კიდეც და B ჯგუფის სამეულშიც შეაბიჯა, ხოლო როდესაც გამოსვლა A ჯგუფმაც დაასრულა და საერთო შედეგები შეჯამდა, კასაბიევს მეთოთხმეტე ადგილი ერგო.

მართალია, არსენ კასაბიევს ოლიმპიადის ბულგარელი ჩემპიონის მილენ დობრევის შედეგამდე მთელი 45 კილო დააკლდა, მაგრამ ეს საგანგაშო ნამდვილად არაა. გრიქუროვის მორიგი აღმოჩენა, რომელიც ნოემბერში 17 წლისა ხდება და ჩემპიონატში მონაწილეთაგან ყველაზე უმცროსი იყო, დღითიდღე უმატებს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მის ასაკში წლეულს ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად საჭირო 325 კილოგრამი გახდა. ახლა თავად დათვალეთ, რამდენია 325-დან 362 კილომდე.

პეკინის ოლიმპიადაზე ოქროსთვის მსოფლიოს ძალოსნები კასაბიევს უნდა შეებრძოლონ.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ



ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲮᲘᲐᲨᲕᲚᲛᲐ 220 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲰᲙᲠᲐ

REUTERS ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲓᲗᲐᲪᲕᲔᲜᲐ

ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲔᲡ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ დაწყებამდე ორ ოქროს მედალზე სიამოვნებით მოვაწერდით ხელს, მაგრამ დღეს ეს უკვე რეალობაა და მეტის იმედი და სურვილი გვიჩნდება. მსუყე ჩაროზიც წინ გველის: ზვიადაური-ასანიძის მოოქროვილ და ხერგიანის მოვერცხლილ ესტაფეტას დღეს საქართველს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გააგრძელებენ, ხოლო 27 აგვისტოდან მათი მოძმე „თავისუფლებიც“ ჩაებმებიან საქმეში.

ბეგი დარჩიას „კლასიკოსები“ დაბა შეკვეთილში გავლილი დასკვნითი შეკრებიდან ათენში 20 აგვისტოს ჩავიდნენ. გუშინ კი ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა კენჭისყრა. ტრადიციულად, ტატამისგან განსხვავებით, ხალიჩაზე შეჯიბრი თითო წონაში ორ დღეს გასტანს. დღეს ირაკლი ჭოჭუა, მანუჩარ კვირკველია, მუხრან ვახტანგაძე და მირიან გიორგაძე იწყებენ, რომლებსაც ხვალ აკაკი ჩაჩუა და რამაზ ნოზაძე შეუერთდებიან. ახლა კი მეტოქეებსა და კალენდარზე...

ახლა წუწუნის დრო არ არის, მაგრამ ამაზე უიღბლო კენჭისყრის წარმოდგენაც კი ძნელია. ოთხივე ქართველს, მეტადრე მანუჩარ კვირკველიას, უძლიერესი მეტოქეები ერგოთ ჯგუფში.

აქვე გაცნობებთ, რომ ოთხკაციანი ჯგუფიდან გამარჯვებული ავტომატურად ნახევარფინალში გადის, ხოლო მეორეადგილოსანი წყვეტს შეჯიბრებას. სამკაციანი ჯგუფიდან გამარჯვებულმა კი ნახევარფინალში გასასვლელად შემდეგ კიდევ ერთი მეტოქე უნდა დაამარცხოს.

რაც შეეხება აკაკი ჩაჩუასა (60კგ) და რამაზ ნოზაძეს (90კგ), მათ დღეს აწონვები ექნებათ და დღესვე შეიტყობენ ჯგუფში მეტოქეების ვინაობას. მოკლედ, დღეიდან ოლიმპიადის დასრულებამდე მოსაწყენად ვერ მოვიცლით.

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

55 ᲙᲒ
ᲯᲒᲣᲤᲘ

1 ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲭᲝᲭᲣᲐ
2 ერქან ილდიზი (თურქეთი)
3 შვაიუნას ადომაიტისი (ლიტვა)
24 აგვიტსო: ჭოჭუა — ილდიზი, ჭოჭუა — ადომაიტისი
მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: პეტრ სვებლა (ჩეხეთი), დენის პალი (აშშ), ალექსეი ვაკუდენკო (უკრაინა)
25 აგვისტო: ნახევარფინალი. ფინალი (20:20სთ)

66 ᲙᲒ
ᲯᲒᲣᲤᲘ

1 ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ
2 სერიფ ეროღლუ (თურქეთი)
3 არმენ ვარდანიანი (უკრაინა)
4 ლუის ფერნანდო ისკუერდო (კოლუმბია)
24 აგვისტო: კვირკველია — ეროღლუ, კვირკველია — ვარდანიანი, კვირკველია — ესკუერდო
25 აგვიტსო: ნახევარფინალი. ფინალი (21:00სთ)

84 ᲙᲒ
ᲯᲒᲣᲤᲘ

1 ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲐᲫᲔ
2 მოჰამედ მოჰამედი (ეგვიპტე)
3 ბრედ ვერინგი (აშშ)
24 აგვისტო: ვახტანგაძე — მოჰამედი, ვახტანგაძე — ვერინგი
მეოთხედფინალი — სავარაუდო მეტოქეები: ლევონ გეჟამიანი (სომხეთი), ვიაჩესლავ მაკარენკო (ბელარუსი), ანდრეა მინუზი (იტალია)
25 აგვისტო: ნახევარფინალი. ფინალი (21:40სთ)

120 ᲙᲒ
ᲯᲒᲣᲤᲘ

1 ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ
2 ედი ბენგსტონი (შვედეთი)
3 ქსენოფონ კოციუმპასი (საბერძნეთი)
4 გიორგი წურწუმია (ყაზახეთი)
24 აგვისტო: გიორგი — ბენგსტონი, გიორგაძე — კოციუმპასი, გიორგაძე — წურწუმია
25 აგვისტო: ნახევარფინალი, ფინალი (22:15 სთ)



ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲭᲝᲭᲣᲐ



ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ



ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲐᲫᲔ

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

კალათბურთი

23 აგვისტო

V ტური

A ჯგუფი

ჩინეთი 67:66 სერბეთი
ჩინეთი: მინგი (27 ქულა, 13 მოხსნა)
სერბეთ-ჩერნიგორია: დრობნიაკი (17)
ესპანეთი 88:84 ახ. ზელანდია
ესპანეთი: გარბახოსა (17)
ახალი ზელანდია: ჯონსი (23)
იტალია 76:75 არგენტინა
იტალია: პოცეკო (17)
არგენტინა: ჯინობილი (19), სკოლა (19)

	მ	ნ	ქ
ესპანეთი	5	0	10
იტალია	3	2	8
არგენტინა	3	2	8
ჩინეთი	2	3	7
ახ. ზელანდია	1	4	6
სერბეთი	1	4	6

B ჯგუფი

აშშ 89:53 ანგოლა
აშშ: დანკანი (15), ჯეიმსი (11), ბუზერი (11)
ანგოლა: მონტეირო (20)
ლიტვა 100:85 ავსტრალია
ლიტვა: იავტოკასი (23), ლავრინოვიჩი (18)
ავსტრალია: ბოგუ (21), სავილი (19)
საბერძნეთი 78:58 პუერტო რიკო
საბერძნეთი: ქაქიუზისი (16)
პუერტო რიკო: აიუსო (11)

	მ	ნ	ქ
ლიტვა	5	0	10
საბერძნეთი	3	2	8
პუერტო რიკო	3	2	8
აშშ	3	2	8
ავსტრალია	1	4	6
ანგოლა	0	5	5

მეოთხედფინალი
ჩინეთი — ლიტვა
ესპანეთი — აშშ
იტალია — პუერტო რიკო
არგენტინა — საბერძნეთი

REUTERS ათენიდან

გასაცოდავებული მსოფლიოს ჩემპიონი სერბეთი არც იაო მინგის ჩინეთმა დაინდო, ხუთ თამაშში მეოთხედ დაამარცხა და ჯგუფში ჩატოვა

ჩოგბურთი

ჩილე-ალჟირია

როგორ ჩაეტია 80 წელი ერთ ხვირაში

ფინალი

ერთეულები

კაცები

ნიკოლას მასუ (ჩილე) — მერდი ფიში (აშშ) 6:3, 3:6, 2:6, 6:3, 6:4

წყვილები

ქალები

ლი ტინი, სუნ ტიან ტიანი (ჩინეთი) — კონჩიტა მარტინესი, ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 6:3

ის, რაც გასული ერთი კვირის განმავლობაში ჩილელმა ნიკოლას მასუმ და ფერნანდო გონსალესმა გააკეთეს, თვით ყველაზე კუდიან ალქიმიკოსსაც კი შურით გახეთქავდა. არაფრისგან ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედლის გამოდნობას ხომ ზებუნებრივი ძალები და ჭეშმარიტად ოლიმპიური იღბალი სჭირდება.

ამ ორი საშუალო დონის ჩილელ მეჩოგნეს ამ დღეებში არც ერთი აკლდა და არც მეორე, თუმცა ისიც უსინდისობა იქნება, იმავდროულად ვინმემ მათ საოცარ შემართებაზე, დაუღალავ გარჯასა და გამარჯვების შეუმუსრავ წყურვილზეც არ ისაუბროს.

მასუსა და გონსალესის ღვაწლი მით უფრო ფასდაუდებელი მოგვეჩვენება, ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც თუ გავითვალისწინებთ — ჩილელები ხომ უკვე 80 წელზე მეტია, ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიან, მაგრამ ოქროს მედალი აქამდე ვერც ერთ სახეობაში — რაც იგივეა — ვერც ერთ ოლიმპიადაზე ვერ ეშოვათ...

შაბათიდან წაღმად დაწყებული ამბავი, რომლის დროსაც ჯერ გონსალესმა მოუგო ბრინჯაო ამერიკელ დენტს, მერე მანვე და მასუმ უკვე წყვილად წაჰგვარეს ოქრო შუტლერსა და კიფერს, გვიანკვირას ასევე შთამბეჭდავად მოვარაყდა. 24 წლის მასუმ, ვისაც ათენში ჩასვლამდე წლეულს ერთი სამაგარსაფრო მატჩიც არ მოეგო, გადამწყვეტი სეტის გადამწყვეტ მომენტებში ამერიკელ მეტოქეზე უფრო აუღელვებლად ითამაშა და მიუხედავად საშინელი გადაღლილობისა — წინა ღამის ფინალშიც ხომ ხუთსეტიანი ბრძოლა მოუხდა! — გამარჯვების ქულამდე მაინც ვაუკაცურად მიატანა.

ეს ჩემი ცხოვრების ორი საუკეთესო დღე იყოო, ამბობდა მერე მასუ და, დია ღმერთო, არც გაემტყუნებოდა.

სხვაფრივ — აქამდე უსახელო ჩინელთა, ლი ტინისა და სუნ ტიან ტიანის უსახელოვე წყვილმა სამშობლოს პირველი საჩოგბურთო ოქრო არგუნა. 32 წლის კონჩიტა მარტინესმა, რომელსაც არანჩა სანჩეს ვიკარიოსთან ერთად ბარსელონაში (1992) ვერცხლი, ხოლო ატლანტაში (1996) ბრინჯაო მოეგო, უმაღლესი სინჯის მედალს ჩოგანი ვერც ამ ჯერზე გამოკრა. თუმცა ნაფინალევს მაინცდამაინც სასოწარკვეთილი მაინც არ იყო — ვერცხლსაც არა უშავსო.

ლევან კელაურაძე

ხელბურთი

მაკსის ბიჭები გადარჩნენ

ფინასწარი ეტაპის უმთავრესი მოულოდნელობა 2000 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ რუსთა უხიერო თამაშია.

ლეგენდარულ სლავ ხელბურთელ ვლადიმირ მაკსიმოვის ბიჭებმა სასტარტო მატჩში სლოვენიელთა ძლევის შემდეგ მიყოლებით სამი თამაში წააგეს და ისე გაირთულეს საქმე, რომ ჯგუფიდან გამსვლელ ოთხეულში მოხვედრაც კი სათუო გაუხდათ. პლეი ოფის საგზურისთვის მათ დასკვნით შეხვედრაში საშუალოძალოვან ისლანდიასთან მოუხდათ ჭიდილი და ჩემპიონთა მორიგი მარცხის შემთხვევაში მედლებისთვის ბრძოლას თავად კუნძულელები გააგრძელებდნენ.

მაგრამ „მაკსის“ გუნდისთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. რუსებმა პრობლემა ფაქტობრივად პირველივე ტაიმში მოაგვარეს — შესვენებაზე 6-ბურთიანი უპირატესობით წავიდნენ და მონაპოვარის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ.

ამრიგად, დღეს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საფრანგეთი, ევროპის ჩემპიონი გერმანია და სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ესპანეთი, მსოფლიოს ჩემპიონი ხორვატია და მასპინძელი საბერძნეთი, ჯერჯერობით უტიტულოები უნგრეთი და კორეა.

ქალთა შეჯიბრშიც ერთადერთი სამეოთხედფინალო ვაკანსია იყო დარჩენილი. ესპანელებმა კონკურენტ ანგოლაზე ერთი ტურით ადრე მოიღიეს თამაშები და მათი ბედი ოლიმპიურ ჩემპიონ დანიელებზე ეკიდა — მათ გუშინ, დასკვნით შეხვედრაში სულ ცოტა, შვიდი ბურთით უნდა ეჯობნათ აფრიკელებისთვის. ესპანელებს გაუმართლათ, დანიამ ანგოლა იოლად გაანადგურა.

კაცები

A ჯგუფი

სლოვენია 26:23 კორეა
ხორვატია 30:22 ესპანეთი
რუსეთი 34:30 ისლანდია

ხორვატია	5	0	0	146:129	10
ესპანეთი	4	0	1	154:137	8
კორეა	2	0	3	148:148	4
რუსეთი	2	0	3	145:145	4
ისლანდია	1	0	4	143:158	2
სლოვენია	1	0	4	130:149	2

B ჯგუფი

საფრანგეთი 27:22 გერმანია
უნგრეთი 26:22 საბერძნეთი
ბრაზილია 26:22 ეგვიპტე

საფრანგეთი	5	0	0	135:108	10
უნგრეთი	4	0	1	132:124	8
გერმანია	3	0	2	139:110	6
საბერძნეთი	2	0	3	117:130	4
ბრაზილია	1	0	4	105:133	2
ეგვიპტე	0	0	5	110:133	0

REUTERS ათენიდან

დმიტრი ტორგოვანოვი თავისიანებს შვიდი გოლით შეეწია

ქალები

A ჯგუფი

უკრაინა 29:20 საბერძნეთი
უნგრეთი 35:26 ბრაზილია
ჩინეთი 28:23 ბრაზილია
უკრაინა 23:22 უნგრეთი

უკრაინა	4	0	0	99:82	8
უნგრეთი	3	0	1	118:103	6
ჩინეთი	2	0	2	106:90	4
ბრაზილია	1	0	3	102:100	2
საბერძნეთი	0	0	4	74:124	0

B ჯგუფი

საფრანგეთი 29:21 ანგოლა
კორეა 36:21 ესპანეთი
კორეა 30:23 საფრანგეთი
დანია 38:22 ანგოლა

კორეა	3	1	0	135:103	7
დანია	3	1	0	125:98	7
საფრანგეთი	2	0	2	105:106	4
ესპანეთი	0	1	3	86:110	1
ანგოლა	0	1	3	97:131	1

ცურვა

სპიცი გადარჩა, ფელპსს ექვსი შერჩა

მოცურავეთათვის ოლიმპიადა დამთავრებულია. შაბათს სპორტის ამ სახეობაში მედლების უკანასკნელი კომპლექტი გათამაშდა. მაიკლ ფელპსმა სიტყვა ვერ შეასრულა და ათენიდან რვა ოქრო ვერ წაიღო, თუმცა ამისთვის ვინ დასძრახავს, თავის ქვეყანას ექვსი ოქრო მოუტანა, გულშემატკივარიც გააბარა. მარკ სპიცს კი შერჩა თავისი რეკორდი, შვიდი ოქრო ერთ ოლიმპიადაზე.

შაბათსაც ამერიკელმა, ავსტრალიელმა და ჰოლანდიელმა მოცურავეებმა იყოჩაღეს.

4+100 მეტრ კომპლექსურ ცურვაში ამერიკულმა კვარტეტმა, აარონ პირსონმა, ბრენდან ჰანსენმა, იან კროკერმა და ჯეისონ ლეზაკმა თითქმის წამით ჩამოტოვეს გერმანელები და 3:30,68 შედეგით მსფლიოს ახალი რეკორდი გამოუცხვეს, პედასტალის მესამე საფეხურზე კი იაპონურმა ოთხეულმა დაადგა ფეხი.

ანალოგიურ გაცურვაში ქალთა შორის ავსტრალიელებმა იმარჯვეს, თანაც ამერიკელ ვაჟთა მსგავსად, მათაც მსოფლიოს რეკორდი დაამზეს. ოთხმა ავსტრალიელმა გოგონამ დისტანცია 3:57,32 წუთში დაფარა და ამერიკელთა და გერმანელთა გუნდები მოიტოვა უკან.

ავსტრალიელები იმ დღეს გრანტ ჰეკეტმაც ასახელა. მან კილომეტრნახევარი 1443,40 წუთში გაცურა, რითაც მსოფლის რეკორდს ვერ შესწვდა, მაგრამ ოლიმპიური დაამყარა და ოქროც მოინადირა, მეორე ამერიკელი ლარსენ იენსენი გახლდათ, მესამეზე კი დიდბრიტანელი დევიდ დევისი გავიდა.

ლადო ფულუკიძე

REUTERS ათენიდან

მაიკლ ფელპსი ამერიკაში 6 ოქროთი ბრუნდება

ოლიმპიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰატარაა და რამხელა საქმეს შეჭიდებია: ბრგე ნიჩბოსანთა მესაჭე გახლავთ

ჰიროს დიმასს ოქრო მეოთხედ არ ერგო. სამი ოქროთი და სამი შვილით გაიხაროს

უცნობილესი ჯინონილაბი ათენში გამხიარულდა

ჰარაავარია



ჩვენ ვიცით, რომ თარჯრბენში ბარიერს ზემოდან ახტებიან, გეილ დივერსს ჯი დაავიწყდა

შარშანწინდელიც კი მახსოვს...



გურამ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

სტუ დინამოელებით გაძლიერებაზე უარს ამბობს

კარგა ხანია, „სტუ-ჯეოსელი“ ძლიერი, სტაბილური გუნდია, მაგრამ არც მთლად ისეთი, ჩემპიონი გამხდარიყო. ტექნიკოსები ნიადაგ ძლიერთა შორის ტრიალებდნენ და მედლების გარეშეც არ დარჩენილან. ახლა კი, როცა ჩვენი ჩემპიონატის ბობოლები გაკოტრდნენ — „ბასკო“ საერთოდ დაიშალა, „დინამომ“ კი უფულობის გამო მთელი შემადგენლობა დაკარგა — „სტუ-ჯეოსელი“ მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა და, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონობაზე ფიქრობს. მართალია, „დინამოს“ ყოფილი კალათბურთელები უგუნდოდ არიან და რომ გაერთიანდნენ, სტუ-საც აჯობებენ, მაგრამ მათთვის ხელფასის მიმცემი არავინ ჩანს და ტექნიკოსებიც არხეინად არიან. მე ახლაც შემიძლია, 2-3 დინამოელი შევიმატო, მაგრამ ამას არ ვიზამ, რადგან მათ უკვე გააკეთეს არჩევანი, როცა „სტუ-ჯეოსელს“ „დინამო“ ამჯობინესო — გვეუბნება ტექნიკოსთა მთავარი მწვრთნელი

ნუგზარ ჭეიშვილი

— ერთი კვირაა, ვარჯიშს შევუდექით, გუნდი უკვე სრულად დავაკომპლექტეთ და დამასკოს საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადებით, რომელიც 10 სექტემბერს იწყება.

— რამდენი ახალწვეული გყავთ?

— მხოლოდ ოთხი კალათბურთელი დავიმატეთ: დავით ბერიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი, რამაზ გოგობერიშვილი და სულ ახლახან კახა შენგელიაც შემოგვემატა.

— თსუ-ს მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა დღეს გვითხრა, შენგელია ჩვენთან რჩებაო...

— თუ ჩემი არ გჯერათ, მობრძანდით ვერის ბაღში, შენგელია „სტუ-ჯეოსელში“ ვარჯიშობს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ის ჩვენთან იქნება. თითქმის ყველა მოთამაშეს გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს.

— კონტრაქტების გაფორმება ნაჩქარევად ხომ არ მოგვიდათ? აგერ, „დინამოს“ შემადგენლობა დაიშალა და ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეები უგუნდოდ არიან...

— დღეს „სტუ-ჯეოსელში“ ათი კალათბურთელი ვარჯიშობს და კიდევ ნახევარი ამდენის დამატების უფლება მაქვს, თუმც ამას არ გავაკეთებ. „დინამოში“ მყოფი კალათბურთელების უმეტესობა „სტუ-ჯეოსელში“ თამაშობდა ბოლო ჩემპიონატებში, მაგრამ მათ ბრაიკოვიჩის გუნდი ამჯობინეს. მე ისინი აღარ მჭირდება, ათი კალათბურთელი სრულებით საკმარისია ჩემპიონატში სათამაშოდ, თან ფინანსებიც არ გვაქვს იმდენი, ხალხი რომ დავიმატოთ.

— რამდენად სერიოზული ტურნირი იმართება დამასკოში?

— საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრია. ექვსი სხვადასხვა ქვეყნისა და ორიც ადგილობრივი, სერიული გუნდი მიიღებს ტურნირში მონაწილეობას. არიან გუნდები ლიბანიდან, ერაყიდან, საუდის არაბეთიდან — მოკლედ, დამასკოში აზიის წამყვანი საკალათბურო კლუბები შეიკრიბებიან. ჩვენც, რა თქმა უნდა, გვსურს, კარგად გამოვიდეთ დამასკოს ტურნირზე და სრული დატვირთვით ვემზადებით. დილაობით დიღმის ტყეში დავრბივართ, შუადღისას ლეილა მესხის კორტების სპორტულ დარბაზში ვემზადებით ტრენაჟორებზე, საღამოს კი ვერის ბაღში ვვარჯიშობთ უკვე ბურთით.

— თქვენს გუნდში ახლა ყველაზე უკეთესი პირობებია და ალბათ ჩემპიონობასაც უმიზნებთ...

— ჩვენ არაფერი მოგვმატებია, ისევ ის ბიუჯეტი გვაქვს, რაც ბოლო წლებში გვქონდა. ეგაა, დანარჩენებს გაუჭირდათ და არაა გამორიცხული, ისევ მომძლავრდნენ. ამიტომაც ჩემპიონობაზე საუბარი ახლა ნაადრევია. რა იცი, რა მოხდება „დინამოში“, შესაძლოა, მათ შუა სეზონში გაუჩნდეთ ფული და გუნდი გააძლიერონ. ისე კი, ჩემპიონობისთვის რომ ვიბრძოლებთ, თავისთავად ცხადია.

ირაკლი პერტაია

WRC — მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში X ეტაპი გერმანია

სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მესამე გერმანული პრიზი მოიგო

რბოლის შედეგები

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) ---------- 4სთ; 01.57,4
2 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) ---------- ჩამორჩა 29,1
3 კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) ---------- 1.09,5
4 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) ---------- 2.40,4
5 სედრიკ რობერი (საფრანგეთი, პეჟო) ---------- 3.30,1
6 ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) ---------- 4.06,0
7 ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, შკოდა) ---------- 5.44,2
8 მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) ---------- 6.41,1

საერთო ჩათვლა

1 სებასტიენ ლოები 76 ქულა; 2 მარკო მარტინი 47; 3 კარლოს საინსი 46; 4 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 44; 5 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 42; 6 ფრანსუა დიუვალი 39; 7 მიკო ჰირვონენი 19; 8 იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) 16; 9 ჰარი როვანპერა (ფინეთი, სუბარუ) 14; 10 ფრედი ლოა 7

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 125 ქულა, ფორდი 96, სუბარუ 67, პეჟო 65, მიცუბისი 17

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი

ჩეხეთის დიდი პრიზი. ბრნო — 5403 მ

მოტო გრან პრი — 118,943მ

1 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) ------- 44 წთ; 03,5
2 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) -------- ჩამორჩა 3,5
3 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) ---------- 4,3

საერთო ჩათვლა

1 როსი 184 ქულა; 2 გიბერნო 167; 3 ბიაჯი 158; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) 104; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 86

აფრიკაც აფრინდა

სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში წლევანდელი 3 ერის თასის გათამაშება იქაურების ზეიმით დასრულდა. ცოტას თუ სწამდა, რომ „ქურციკები“ წლეულს გააწბილებდნენ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. მაგრამ ფაქტია, აფრიკელებმა შესანიშნავად იბურთავეს და დამსახურებულად იჩემპიონეს, პირველად ბოლო ექვს წელიწადში და მეორედ 3 ერის ტურნირის დაკანონების ანუ 1996 წლის შემდეგ. 1998 წლისგან განსხვავებით ახლა მათ გაცილებით დიდი ჯაფა დაადგათ. თავიდანვე წააგეს ორი გასვლა, თუმცა ორივე ბოლო წუთზე, შინ კი არავის არაფერი დაუთმეს.

ავსტრალიასთან გადამწყვეტი ჯახის პირველ წუთებში აფრიკელთა ჩემპიონობა არ იკითხებოდა. მასპინძლებს ხასიათი ავსტრალიელმა ლოუთ ტუკირიმ გაუფუჭა — ლელო დაუდო, მეტ ჟიტომ კი გარდასახა — 0:7. „ქურციკები“ ამან გამოაფხიზლა, თუმცა მათ გადამწყვეტი უპირატესობა პირველ ნახევარში ვერ მოიპოვეს. ისდა შეძლეს, ჯარიმა გაეტანათ და სხვაობა შეემცირებინათ. დარტყმა მონტგომერიმ შეასრულა. მასვე კიდევ ერთის გატანაც შეეძლო, მაგრამ მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმში „ქურციკებმა“ თავიდანვე შეუტიეს და ისევ ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, თუმცა მონტგომერიმ კვლავ ვერ ივარგა. მაინც არ დასჭირდა აფრიკელთა ქომაგობას დიდხანს ცდა. მესამე წუთზე ბურთი ორმეტრიანმა ვიქტორ მეტფილდმა იგდო ხელთ, ერთი-ორი კაცი ჩამოიცილა, ბოლოს ოზების კაპიტან ჯორჯ გრეგანსაც გასცდა და ლელოც გამოაცხო. მონტგომერიმ გარდასახა, ანგარიში 10:7 გახდა და ქომაგმაც ამოისუნთქა. ცოტა ხანში ფან ნიკერკმაც ივაჟკაცა, „ვოლაბთა“ ჩათვლის მოედანს მიუახლოვდა და შებოჭილმა ოზ დუ რანტს უპასა. მალე ბურთი ფან ნიკერკსვე დაუბრუნდა და ესეც ავსტრალიელთა ლელოში შევარდა. მონტგომერის გარდასახვა ისევ უნაკლოა — 17:7. მეტი ლელო „ქურციკებს“ აღარ გაუტანიათ, თუმცა მეორე ტაიმის მე-16 და 22-ე წუთებზე მონტგომერიმ ადრეული შეცდომები გამოისყიდა, ორი საჯარიმო დაარტყა ზუსტად. 23:7 ანგარიშზე ქომაგს თავი ქუდში ეგონა, მაგრამ...

ავსტრალიელები თავს წაგებულად არ თვლიდნენ და უკანმოუხედავად შეუტიეს. ჯერ ლარქემის ბრწყინვალე პასს მოჰყვა მორტლოკის ლელო, შემდეგ ამ ლელოს ჟიტოს გარდასახვა და ბოლოს ჯონ სმიტის დამიწება, მაგრამ აქ კი უმტყუნა ბედმა ავსტრალიას. ჟიტუმ გარდასახვა გააფუჭა და „ვოლაბებს“ შანსი მოუსპო. 23:19 ანგარიშზე მათ ერთი საჯარიმო არ ყოფნიდათ, ლელო სჭირდებოდათ, მაგრამ წლეულს „ქურციკები“ ლელოებს არ არიგებენ.

მალე მსაჯმაც ჩასტვინა. ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯორჯ გრეგანმა ნაკრებში ასმეორე მატჩი ითამაშა და პირველად სწორედ მას ეყო ძალა, მასპინძლებისათვის მიელოცა.

ლადო ფულუკიძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სამხრეთ აფრიკა	4	2	0	2	+12	11
ავსტრალია	4	2	0	2	-4	10
ახალი ზელანდია	4	2	0	2	-8	9

სამი ერი 2004

21 აგვისტო. დურბანი

სამხრეთ აფრიკა 23:19 ავსტრალია

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პოლსი, ჟუბერი, ვეტ ბერი, დე ვილერსი; ფან დერ ვესტჰოიზენი, კონრადი (დუ პრეეცი); ფან ნიკერკი, ვენტერი (ბრიცი), ბურგერი (კრონხე), მეტფილდი, ბოთა, ენდრიუსი (ფან დერ ლინდე), სმიტი (კაპ), დუ რანტი (შიმანგე)

2 ლელო: მეტფილდი, ფან ნიკერკი

2 გარდასახვა: მონტგომერი; 3 საჯარიმო: მონტგომერი

ავსტრალია: ლათამი, რეთბოუნი (სეილორი), მორტლოკი (ბერკი), ჟიტუ, ტუკირი; ლარქემი, გრეგანი (კაპ); ლაიონზი (რო), ვუ, სმიტი, შარპი (ვიკერმანი), ჰარისონი, ბაქსტერი, კენონი (პოლი), იანგი (დანინგი)

3 ლელო: ტუკირი, მორტლოკი, სმიტი

2 გარდასახვა: ჟიტუ

REUTERS დურბანიდან

სამხრეთ აფრიკა სამ ბობოლა სამხრეთ ერში უძლიერესია

მემარჯვენე პრემიერის ღიმილი

ანდრეი შევჩენკო

პაოლო მალდინი

„მილანის“ მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ, იტალიის სუპერთასის შეხვედრაში, ლაციოს“ კარში სამი გოლის გამტან ანდრეი შევჩენკოს საუკეთესოთა შორის საუკეთესო თავდამსხმელი უწოდა.

„ყველაფერი მარტივი და გასაგებია. შევჩენკოსნაირი თავდამსხმელი დღევანდელ მსოფლიოში არავინ არის“.

შევჩენკოს თამაშით აღფრთოვანდა „მილანის“ პრეზიდენტი და იტალიელ მემარჯვენეთა ლიდერი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონიც.

„როგორც ფორვარდი, შევჩენკო აშკარად მარკო ვან ბასტენის ტოლია — ღიმილით ბრძანა სახელმწიფოს მეთაურმა, შემდეგ კი სუპერთასზე თავგამოჩენილი სხვა მოთამაშეებიც შეაქო — მალდინი დღენიადაგ ამტკიცებს, რომ შეუდარებელი მოთამაშეა, ხოლო ნახევარდაცვაში რუი კოშტას გამოვყოფდი“.

„ოდნავ ნერვიული პირველი წუთების შემდეგ ჩვენ მონდომებით და ყურადღებით ავთამაშდით — განაგრძო შემდეგ ანჩელოტიმ — სამწუხაროდ, ბარძაყის კუნთი დაიზიანა ერნან კრესპომ და ამიტომ მოვარიდე შესაძლო გართულებებს“.

ჩვენთვის, ქართველი ქომაგებისთვის „მილანის“ დაცვის მარცხენა ფრთაა მნიშვნელოვანი, სადაც ჯერჯერობით, პაოლო მალდინი დაბრუნდა და კახა კალაძე ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან.

„ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მარცხენა ფრთაზე დიდებულად ითამაშებდა — თქვა მალდინიზე ანჩელოტიმ — ის დიდი სიხარულით დათანხმდა ჩვეულ პოზიციაზე დაბრუნებას, მაგრამ მე ხაზს ვუსვამ, რომ ის ყოველთვის მარცხნივ სულაც არ იქნება“.

პაპუნა კედია

იუბის პირველი აყვავება



ხავიერ პორტილიო

„ფიორენტინას“ ერთი გოლი ხავიერ პორტილიომ გაიტანა — ფლორენციელებმა კოპა იტალიას ადრეულ ეტაპზე „კომოს“ 3:0 მოუგეს. მადრიდის „რეალისგან“ შეძენილი პორტილიოს გარდა „იების“ გოლები უილიამ ვიალიმ და თავად კომოელმა გრასიმ გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ „ფიორენტინას“ შემადგენლობაში გამოირჩეოდა „იუვენტუსიდან“ გადაყვანილი ენცო მარესკაც, რომელმაც პორტილიოს ზემოხსენებული გოლი გაატანინა.

მაგრამ „ფიორენტინას“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ჯერ კიდევ მოუწევს ძალ-ღონის გვარიანი ხარჯვა, რადგან ის მე-5 ჯგუფშია, სადაც ბრძოლა აშკარად ბოლო ტურამდე გაგრძელდება. კერძოდ, ამავე ჯგუფში „პიაჩენცამ“ ყველასთვის მოულოდნელად ავჯობა „ვერონას“ ვერონაში, 2:0. ამ შედეგში დიდი როლი 43-ე წუთზე ვერონელი გრევასონის გაძევებამ ითამაშა, ასე რომ, ჯგუფიდან გამსვლელი ერთადერთი ადგილისთვის ბრძოლაში „ფიორენტინა“ და „პიაჩენცა“ ლიდერობენ.

პირველ ჯგუფში „ტორინოსა“ და „ემპოლის“ შეხვედრაში რვა გოლი გავიდა. ტურინელებს მასიმო მარაცინამ მოუტანათ ორი გოლი, ამასობაში კი „ჯენოა“ შინ დამარცხდა სერია C-ს გუნდ „ლუმეცანესთან“ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე „ტორინო“ გავა.

მე-8 ჯგუფში ზედიზედ მეორე თამაში მოიგო „მესინამ“, ამჯერად მას „აკირეალე“ ემსხვერპლა, 4:0. მესინელთა ოთხი გოლიდან ერთი „სამპდორიადან“ გადასულმა აცუში იანაგისავამ გაიტანა. ეს მისი პირველი გოლი გახლდათ ახალ გუნდში, ხოლო კიდევ ერთი სადებიუტო გოლი ამ ზაფხულს ნაყიდმა რაფაელემ შეაგდო.

მეორე ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გამსვლელს ბერგამოს „ატალანტა“ ჰგავს. ბერგამოელებმა „ალბინოლეფეს“ მოუგეს 3:0.

მეოთხე ჯგუფში თვალშისაცემი „პერუჯას“ მარცხი გახლდათ. პერუჯელებმა სერია C-ს გუნდ „რიმინისთან“ წააგეს.

არ ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა. კერძოდ, „ნაპოლის“ კოპა იტალიაზე თამაშის ნებას უბრალოდ სასამართლო არ რთავს, ხოლო სერია B-ს გუნდთა შეხვედრები, „ტერნანა“ — „პესკარა“ და „კროტონე“ — „ბარი“ გადაიდო.

პაპუნა კედია

„იუვენტუსმა“ ოთხშაბათს შვედეთში უნდა მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაში გაინაღდებს ადგილს. „შავ-თეთრების“ ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე ამაში დარწმუნებულია. „ჩვენ არაფრის გვეშინია — არწმუნებს ტრეზეგე ქომაგებს „იურგორდენთან“ პირველ მატჩში ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ — გუნდი საკმაოდ გამოცდილია საიმისოდ, რომ შეჯიბრებაში სულ წინ და წინ იაროს. ჩვენ ლიგაში მოვხვდებით“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პაველ ნედვედი

მამის ჯვილი და ბიძის ძმისშვილი

სადა ხარ ჩვენო ალექსო...

ზოგადად, მიმომხილველები ამბობენ, რომ ზაფხულის განმალობაში „ბებერი ქალბატონი“ ბევრით ვერაფრით გამოირჩეოდა, დაცვაშიც შეცდომებს უშვებდა და გოლებიც კანტი-კუნტად გაჰქონდა, რასაც კაპიტნის, ალესანდრო დელ პიეროს ცუდი ფორმა გასდევდა ლაიტმოტივად.

„10 აგვისტოს შემდეგ ძალიან მონდომებულნი ვართ, ბევრი ვიმუშავეთ და დღეს სწორედ რომ ზედგამოჭრილ ფიზიკურ ფორმაში ვართ — დასძინა ტრეზეგემ — რაც შეეხება ალექსს, მე მისი ქომაგი გახლავართ და საკუთარი თვალით ვხედავ, როგორ ვარჯიშობს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ვფიქრობ, შვედეთში გადამწყვეტ როლს სწორედ დელ პიერო ითამაშებს“.

თუ ვერ მოიგებს, „იუვენტუსმა“ ბევრგოლიანი ფრე მაინც უნდა ითამაშოს — 3:3 და ზევით — რათა „იურგორდენი“ ჩამოიტოვოს.

„პირველი მატჩი ძალიან უცნაურად წარიმართა — თქვა ფრანგმა — ჩვენს დამოკიდებულებაში რაღაც თავიდან ბოლომდე მცდარი იყო, მაგრამ ასეთი რამ აღარ განმეორდება“.

სავარაუდოდ, საპასუხო თამაშისთვის „ბებერ ქალბატონს“ ჩეხი ვარსკვლავი, პაველ ნედვედი შეემატება, ფაბრიციო მიკოლიმ კი რამდენიმე დღის წინ, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, ისლანდიელებთან შეხვედრაში მოაწონა თავი საზოგადოებას.

ნედვედი, მოგეხსენებათ, ევრო 2004-ის ნახევარფინალში, ბერძნებთან შეხვედრისას დაშავდა და მას შემდეგ შაბათსღა ითამაშა „იუვეს“ ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი. ეს გახლდათ მატჩი „ბენეტონთა“, რომელშიც „ბებერმა ქალბატონმა“ 5:0 მოიგო, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ გახლავთ, რამდენადაც ის, რომ თამაშს კლუბის მეპატრონეთა, ანიელების ოჯახის წარმომადგენელი ანდრეა ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ თუ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გადაყვანას არ ჩავთვლით, ამ ზაფხულს „შავთეთრებს“ სატრანსფერო ბაზარზე თავი არაფრით გამოუჩენიათ და ეს ქომაგებმა კლუბისა და მეპატრონეების დაცილებად მიიჩნიეს.

„მამაჩემი უმბერტო და ბიძაჩემი ჯანი „იუვესთან“ ყოველთვის ახლოს იყვნენ — განმარტა ანდრეა ანიელმა — ეს კლუბი ჩვენი ოჯახის გენეტიკური ნაწილივით არის და მეც გავაგრძელებ მათ ტრადიციებს“.

ამის შემდეგ უმცროსმა ანიელიმ, რომელიც ეჭვია, რომ მაინც არ არის მამისა და ბიძის გვერდით დასაყენებელი, ფეხბურთზეც ილაპარაკა:

„ჩვენ „იურგორდენს“ დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ მასთან შეხვედრაში ჩვენი პოტენციალი სრულად უნდა გამოვამჟღავნოთ. იმედია, იმ დღეს ნედვედიც ითამაშებს და ჩვეულებისამებრ დიდი თავგანწირვით გაირჯება. რაც შეეხება დელ პიეროს, ის განსაკუთრებული ადამიანია და მწამს, როგორც არასდროს, ისე ათამაშდება. სატრანსფერო კამპანიით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, სერია A-ში არავის ჩამოვარჩებით“.

პაპუნა კედია



ალესანდრო დელ პიერო

პიპო და 12 სექტემბერი

ფილიპო ინძაგი

„მილანის“ თავდამსხმელი, ცნობილი ფილიპო ინძაგი დარწმუნებულია, რომ სერია A-ს დაწყებისთვის სრულიად მზად იქნება. მოგეხსენებათ, პიპო, ლამის უკვე წელიწადი სრულდება, კოჭის ტრავმამ დატანჯა და ამის გამო ევრო 2004-ც კი გამოტოვა. აპრილში ინძაგიმ ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ მოგვიანებით გამოჩნდა, რომ ტკივილს კუდები ჯერ კიდევ დაეტოვებინა. ფორვარდს ზაფხულზეც მოუწია დასვენებამ. ფეხბურთელისთვის სასიხარულო კი ის არის, რომ საქმე საბოლოოდ მაინც გამოჯანმრთელებისკენ მიდის და ისეთი პირი უჩანს, რომ ხელმეორე ოპერაცია აღარ დასჭირდება.

„თავს უკეთ ვგრძნობ და დღითიდღე ვჯანმრთელდები — უთხრა ინძაგიმ ჟურნალისტებს — მომდევნო კვირაში გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს. დიდი იმედი მაქვს, რომ 12 სექტემბრისთვის ანუ ჩემპიონატის პირველი შეხვედრისთვის მზად ვიქნები“.

ამასობაში, მოგეხსენებათ, „მილანის“ კიდევ ერთმა ცნობილმა თავდამსხმელმა, არგენტინელმა ერნან კრესპომ იტკინა ფეხი და ამით ქომაგები შეაშფოთა — კრესპო, შაბათს, „ლაციოსთან“ სუპერთასის შეხვედრის დროს მოედანზე შვიდი წუთის შესული გავიდა თამაშიდან — მაგრამ, როგორც ირკვევა, სახიფათო არაფერია. „შავ-წითელთა“ სამედიცინო გუნდის განცხადებით, არგენტინელს კუნთი აქვს უმნიშვნელოდ ნატკენი.

პაპუნა კედია


სალვატორე სოვიერო

ჯიჯი ახალ ჭალაჭაჩი

„რეჯინამ“, როგორც ჩანს, ახალი მეკარის ძებნა დაასრულა — იგი სალვატორე სოვიეროს ყიდულობს და ეს მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება ხუთთვიანი დისკვალიფიკაციის დარჩენილი ნაწილი ჯერ კიდევ მოსახდელი ჰქონდეს. ერთი სიტყვით, საქმე „ვენეციასთან“ ფეხბურთელების გაცვლა-გამოცვლასთან გვაქვს.

„ჩემი ამოცანაა, თავი არ დავზოგო და ახალი გუნდის სასარგებლოდ ყველა გამოწვევა მივიღო“ — განაცხადა ახალმა გოლკიპერმა.

ახლა იმაზე, თუ რატომ არ ელოდნენ რეჯოკალაბრიელთა ასეთ გადაწყვეტილებას: სოვიეროს 15 სექტემბრამდე თამაშის ნება არ აქვს და ისედაც მივიწყებული გახლდათ. როგორც ზევით მოგახსენეთ, გოლკიპერი აპრილში ხუთი თვით დასაჯეს. მიზეზი: „მესინასთან“ 38-ე ტურის შეხვედრაში (1:2) ის მოულოდნელად მოწინააღმდეგის სათადარიგოთა სკამისკენ გაიქცა და იქაურ მწვრთნელს, ბორტოლო მუტის გიჟივით შეეხალა. მისი დაშოშმინება სრულიად შეუძლებელი გამოდგა. სოვიერო მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელსაც კი მისწვდა და ბოლოს ფოტორეპორტიორებზე გადავიდა.

დღეს მაშინდელი შეურაცხადი ასე ბრძანებს: „სერია A-ში თამაში დიდი სიამოვნებაა. მწვრთნელ, ვალტერ მაძარისაც პირადად ვიცნობ, ჩვენ „ნოლაში“ ვიყავით ერთად. მაშინ ის ჩემი თანაგუნდელი გახლდათ“.

აღსანიშნავია, რომ რეჯო კალაბრიაში ძალიან კარგად იცნობენ სოვიეროს ბიძას ანტონიო მოკიას, რომელიც 1980-იან წლებში „რეჯინაში“ თამაშობდა.

პაპუნა კედია

გონსალო და გონსალესი

კილი გონსალესი

არ არის გამორიცხული, „ინტერმა“ რამდენიმე ფეხბურთელი ინგლისში გაუშვას. კერძოდ, საუბარია ნიკოლა ვენტოლაზე, კილი გონსალესსა და გონსალო სორონდოზე.

ვენტოლამ, რომელიც ადრე „ბარიში“თამაშობდა, სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებში დიახაც დაიმსახურა მოწონება, მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში, „სან სიროზე“ დასამკვიდრებლად ადრიანოსთვის, კრისტიან ვიერისა და ალვარო რეკობასთვის კონკურენციის გაწევა მეტისმეტად გაუჭირდა და ამიტომაც აწარმოებს მოლაპარაკებებს „კრისტალ პალასთან“. მოლაპარაკებების არსი ვენტოლას ორმაგი პატრონობაა, ანუ თუ გარიგება შედგა, თავდამსხმელი ლონდონელებისაც იქნება და მილანელებისაც.

იმავე წყაროების მიხედვით, იგივე „კრისტალ პალასი“ ცდილობს გონსალო სორონდოსა და კილი გონსალესის შეძენას. ორივე ეს ფეხბურთელი სამხრეთამერიკელია და მათი შეძენა „ინტერის“ ყოფილი მწვრთნელის, ექტორ კუპერის სურვილი გახლდათ. საინტერესოა, რომ ამ მოთამაშეების მიმართ ლონდონელთა ინტერესმა აღძრა ეჭვი, რომ კლუბი თვით კუპერის შეძენასაც გეგმავს.

პაპუნა კედია

რუსები კვლავ გამოჩნდნენ პრემიერლიგაში: ხელმოკლე „ევერტონის“ აქციათა საკონტროლო 40 პროცენტს დღედღეზე შეიძენს რუსი მილიარდერი,— ბორის ზინგარევიჩის 23 წლის ვაჟი ანტონი, რომელიც ინგლისში სწავლობდა და ფლობს ბრუნეიში რეგისტრირებული „ფორტრის სპორტსის“ ფონდს

კიდევ ერთი რუსი

ევერტონს მილიარდერის შვილი მიადგა


უეინ რუნი

თავად მამა ზინდარევიჩი რუსეთში უდიდესი ხე-ტყის ჰოლდინგის, „ოლირ პალის“ ერთ-ერთი დამაარსებელია, ფულით რომან აბრამოვიჩს ვერ შეედრება, თუმცა 330 მილიონი დოლარის ქონება აქვს.

„ევერტონის“ 40 პროცენტი 36 მილიონი დოლარი ჯდება და, როგორც ჩანს, კლუბს რუსების მისვლა აწყობს. ლივერპულელთა თავმჯდომარემ ბილ კენრაიტმა თქვა: „ანტონი საოცარი კაცია, ფეხბურთის ენციკლოპედიური ცოდნა აქვს“.

სანამ კლუბის საბჭო არ შეიკრიბება, მანამდე ოფიციალურ დასტურს ან უარყოფას ვერავინ შეიტყობს, მაგრამ კენდრაიტი უკვე ელაპარაკა ნაირგვარ გაზეთებს და განაცხადა, რომ რუსული ინვესტიცია ტრანსფერებს მოხმარდება, რათა გუნდს ძველი დიდება დაუბრუნდეს.

ამ ზაფხულს „ევერტონმა“ 10 ფეხბურთელი გაყიდა და მხოლოდ ოთხი მიიყვანა, თუმცა, ჯერჯერობით შეინარჩუნა ყრმა ვარსკვლავი უეინ რუნი, რომლის გამოც ამბობენ, სანახევროდ უკვე მანჩესტერელიაო.

თუ უმცროსი ჟინგარევიჩის ფული ამ ათ დღეში მოვა, მაშინ ტანჯული კლუბის მენეჯერი ეცდება, რომ „ლივერპულიდან“ ჯიმი ტრაორე და სტივ ფინანი გადაიყვანოს.

ამ შემთხვევაში კლუბმა ეგებ რუნიც დაიტოვოს, დაჰყაბულდეს კვირაში 50 ათას გირვანქიან, ხუთწლიან ხელფასს, რომელსაც აქამდე ვერაფრით სწვდებოდა.

„ევერტონის“ საბანკო ვალი 30-დან 40 მილიონ გირვანქამდე მერყეობს, თუმცა 6 მილიონი სასწრაფოდაა გადასახდელი.

ირაკლი გამყრელიძე

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელმა პოლ სტაროკმა გუშინ სკამი გაათავისუფლა. არადა, გასულ შაბათს მისმა გუნდმა „ბლექბერნს“ 3:2 მოუგო, პრემიერლიგა კი სულ ორი ტურის დაწყებულია

სტაროკი მალე დაკველდა

წმინდანები უიგლის მიაბარეს

„მომავალ უქმეებზე ჩვენ შევხვდებით და სტაროკს კონტრაქტს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ოფიციალურად გავუწყვეტთ“ — განაცხადა კლუბის თავმჯდომარე რუპერტ ლოუმ.

პოლ სტაროკი „საუთჰემპტონში“ წლეულს მარტში მივიდა და მის ხელქვეით გუნდმა 13 მატჩი გამართა. „წმინდანებს“ დროებით სტივ უიგლი უთავკაცებს, რომელმაც თებერვალში, გორდონ სტრაჩანის წასვლის შემდეგ ორი ტურით ჩაიბარა „საუთჰემპტონი“. „პასუხისმგებელი ახლა მე ვარ და ვეცდები, რომ ოთხშაბათს გულშემატკივრები არ გავაწბილო“ — თქვა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა. უიგლი პირველ მატჩს ხვალ, სემ ალარდაისის „ბოლტონთან“ გამართავს, ხოლო დატოვებენ თუ არა პოსტზე, დროებითმა თავკაცმა ჯერ არ იცის. „კლუბის ბოსებთან ამის თაობაზე ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ უახლოეს დღეებში ალბათ ყველაფერი გაირკვევა“ — აღნიშნა მან.

ვაჟა ხუციშვილი

რეკლამა
სარგბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

რატომ არ გააგდო დურსომ ფერგიუსონი?

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა მსაჯი ენდი დურსო არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა და ალბათ რამდენიმე პრემიერლიგურ მატჩს გამოატოვებინებს. გასულ შაბათს „საუთჰემპტონმა“ „ბლექბერნს“ ჯეიმს ბიტის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მოუგო. პენალტის შესრულებამდე „ბლექბერნის“ გაბრაზებულმა კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა ბურთს ფეხი ამოსცხო და მოისროლა. მსაჯმა ენდი დურსომ ფერგიუსონი გააფრთხილა, თან მეორედ, ოღონდ მას ეს აღარ გახსენებია და ბლექბერნელი არ გააძევა.

ენდი დურსო

